მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 4

2019 წ. " 19 " 09

ქ. თბილისი

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი უკუკავშირის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა

6

და აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ მათგანთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება:

2.1. 2019 წლის 03 ივლისს სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 ივლისის №612 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 07 აგვისტოს №693 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 13 აგვისტოს ქ. თბილისში და 15 აგვისტოს ქ. ბათუმში განახორციელა სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში სააკრედიტაციო ვიზიტი, ხოლო 2019 წლის 11 სექტემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასებულ იქნა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი		√	
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	√		

2.3. საბჭომ შეისწავლა პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 19 სექტემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე

აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის ზეპირი მოსმენის საფუძველზე, საბჭომ საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მიზანშეწონილია, თითოეული საკითხის ასათვისებლად გამოსაყენებელი სწავლების და შეფასების მეთოდების, ასევე, აუცილებელი რესურსების შესახებ ინფორმაცია აისახოს პროგრამის ოფიციალურ ვერსიაში და დამტკიცდეს განახლებული სახით;

ბ) მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის შინაარსზე ორიენტირებული სპეციალური სასწავლო რესურსი პროგრამის მსმენელებისათვის, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე იქნება ორიენტირებული;

გ) მიზანშეწონილია, ტრენერებთან გაფორმებულ შეთანხმებებში ასახული იყოს ტრენინგის განხორციელების კონკრეტული მისამართები.

3. სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის 2019 წლის 03 ივლისის №23/72291 (ცენტრში რეგისტრაციის №905521) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №01 სხდომის ოქმის №4 ნაწილი (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მიზანშეწონილია, თითოეული საკითხის ასათვისებლად გამოსაყენებელი სწავლების და შეფასების მეთოდების, ასევე, აუცილებელი რესურსების შესახებ ინფორმაცია აისახოს პროგრამის ოფიციალურ ვერსიაში და დამტკიცდეს განახლებული სახით;

ბ) მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის შინაარსზე ორიენტირებული სპეციალური სასწავლო რესურსი პროგრამის მსმენელებისათვის, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე იქნება ორიენტირებული;

გ) მიზანშეწონილია, ტრენერებთან გაფორმებულ შეთანხმებებში ასახული იყოს ტრენინგის განხორციელების კონკრეტული მისამართები.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 3 თვე (26.12.2019).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2019 წლის 26 სექტემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი

დანართი №1

№	ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ	
1	პროგრამის დასახელება	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი
2	სტატუსი	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	—
4	სწავლების მეთოდი / ფორმა	საკლასო მეცადინეობა
5	საათების რაოდენობა	23
6	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0114; ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №10; ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16; ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №8; ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №32.
7	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	26.09.2019
8	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	3 თვე (26.12.2019)
9	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	26.09.2024